სს „სილქ ბანკი“

პილარ 3 წლიური ანგარიშგება

2023

შინაარსი

1. შესავალი 3
2. მენეჯმენტის განცხადება 3
3. ბანკის სტრატეგია 3
4. კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები 5
5. აქციონერები და ჯგუფის სტრუქტურა 7
6. კორპორაციული მართვა 8
აქციონერთა კრება 9
სამეთვალყურეო საბჭო 9
სამეთვალყურეო საბჭოს, საბჭოს კომიტეტების და მათი წევრების საქმიანობის შეფასება 15
დირექტორთა საბჭო 15
აუდიტის კომიტეტი 20
რისკების კომიტეტი 21
აღმასრულებელი დონის კომიტეტები 23
7. რისკების მართვა 26
სტრეს ტესტები 29
8. ანაზღაურება პოლიტიკა 30
9. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები 31

1. შესავალი

ანგარიშგების მთავარ მიზანს წარმოადგენს კაპიტალის ადეკვატურობასთან და ანაზღაურებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელიც დაფუძნებულია პილარ 3-ზე და განისაზღვრება საბანკო ზედამხედველობის (ბაზელის კომიტეტის) ბაზელ III-ის ჩარჩოს მიხედვით. გამჟღავნების მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა კომერციული ბანკებისათვის და ხელმისაწვდომს ხდის კომერციული ბანკის ძირითად ინფორმაციას, რაც განაპირობებს ბანკის წინაშე არსებული რისკებისა და საზედამხედველო კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ გამჭვირვალობის ზრდასა და ნდობის ამაღლებას.

2. მენეჯმენტის განცხადება

ბანკის დირექტორთა საბჭო ადასტურებს მოცემულ პილარ 3-ის ანგარიშგებაში ასახულ ყველა მონაცემისა და ინფორმაციის უტყუარობასა და სიზუსტეს. ანგარიშგება მომზადებულია სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული შიდა პროცესების დაცვით, წინამდებარე ანგარიშგება აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 22 ივნისის #92/04 ბრძანებით დამტკიცებული „კომერციული ბანკების მიერ პილარ III-ის ფარგლებში ინფორმაციის გამჟღავნების წესის“ მოთხოვნებსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ სხვა წესებსა და ნორმებს.

3. ბანკის სტრატეგია

ბანკი მიზნად ისახავს სწრაფი და სტაბილური ზრდის მიღწევას, რომელიც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელისა და მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდით, ამასთანავე, მხედველობაში მიღებული იქნება ზრდასთან დაკავშირებული რისკები.

ბანკი აქტიურ მუშაობას გეგმავს თავის სტრატეგიულ სეგმენტებზე: მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესები და საცალო სექტორი. მისი ხედვაა შექმნას საბანკო მომსახურების მაღალი სტანდარტი მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნეს და საცალო სექტორებში. გახდეს მეწარმეების, მათთან დასაქმებული ადამიანებისა და მათი მომხმარებლების რჩეული ბანკი და სანდო პარტნიორი, აქტიური მოთამაშე საბანკო სფეროში.

ბანკის სამომავლო სტრატეგიული ბიზნეს მიზნებია:

- სტაბილური მომგებიანობის მიღწევა;
- მიკრო, მცირე და საშუალო, ასევე საცალო სექტორზე საბაზრო წილის გაზრდა;
- ფინანსური სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა მათთვის ვინც ამჟამად ნაკლებად იყენებს საბანკო მომსახურებას

ბანკის სტრატეგიას წარმოადგენს ინოვაციური ციფრული ფინანსური და არაფინანსური პროდუქტებისა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდება მთელი საქართველოს მასშტაბით.

ბანკის სტრატეგიული მიზნები მომდევნო სამი წლის განმავლობაში ძირითადად ფოკუსირდება მაღალი ხარისხის აქტივებზე, ახალი პროდუქტებისა და ინფორმაციული

ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე, გონივრული საბანკო პრაქტიკის დაცვასა და რისკის მართვის პერსპექტივების გაძლიერებაზე.

ეკონომიკაში კრიზისის შედეგად გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ბანკი ინვესტირებას განახორციელებს სხვადასხვა სექტორსა და მრეწველობაში. დივერსიფიცირებული სექტორის დაფინანსება, ბანკს საშუალებას მისცემს მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური შესაძლო დანაკარგით.

მოკლე და საშუალოვადიან პერიოდებში ბანკი ფოკუსირებას მოახდენს ეფექტურობიდან მიღებულ სარგებელზე, რომლის მიზანია საქართველოს დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ფენებისათვის ფინანსურ და არა-ფინანსურ მომსახურებაზე წვდომის გაუმჯობესება. აღნიშნული გამოიწვევს სასესხო პროდუქტისა და მომსახურების უფრო დივერსიფიცირებული სპექტრის შეთავაზებას კლიენტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

დიგიტალიზაცია

ბანკი ამჟამად გადის მნიშვნელოვან რეორგანიზაციას და ბიზნეს-მოდელის ცვლილებას. ბანკის მენეჯმენტს დაგეგმილი აქვს ბიზნესის ძირეული გაციფრულება, რაც გულისხმობს მთლიანი ინფრასტრუქტურის ცვლილებას და ღრუბლოვანი (Cloud) სერვისებით ჩანაცვლებას, მიკრო სერვისებზე აწყობილ გარემოს, რაც პროდუქტის მიწოდების ხარისხს და დროს გაუმჯობესებს, მონაცემთა შენახვის გამართულ პროტოკოლს, შესაბამისად მონაცემთა ჭკვიან ანალიზს და ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

ბანკის სტრატეგიაა ნიშური სეგმენტებისათვის ინოვაციური პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზება საქართველოს კონკურენტულ და გაჯერებულ საბანკო ბაზარზე. ბანკის მისიაა შეგვქმნას ჰოლისტიკური გამოცდილება და მომხმარებლებს გაუმარტივოს ყოველდღიური ცხოვრება.

ბანკის ზრდის სტრატეგია ფოკუსირებულია მომხმარებელთა რაოდენობის ეტაპობრივ ზრდაზე, მათ საჭიროებებზე მაქსიმალურად მორგებული პროდუქტებისა და სერვისების შეთავაზების გზით. ბანკი წარმატების ძირითად მაჩვენებლად განიხილავს ყოველდღიურად/ყოველთვიურად აქტიური მომხმარებლების (MAU/DAU) და მომხმარებლების ლოიალურობის ინდექსის (NPS) ზრდას.

ბანკს 2022 წლიდან შემოუერთდა ახალი გამოცდილი მენეჯმენტი აღნიშნული სტრატეგიის წარმატებით განსახორციელებლად. სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ბანკმა 2023 წლის პირველ კვარტალში დაიწყო ციფრული ტრანსფორმაციის პროცესი.

როგორც ამ ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ნაწილი, ბანკი არა მხოლოდ იყენებს უახლესი ციფრული ინსტრუმენტებს, არამედ ნერგავს ახალ სტრატეგიულ პლატფორმას და განაახლებს მის ვიზუალურ იდენტობას. სანამ მისი ძირითადი სერვისები ციფრულ სფეროში გადადის, ბანკი სტრატეგიულად ინარჩუნებს ფიზიკურ ფილიალებს საქართველოს მჭიდროდ დასახლებულ რაიონებში.

ბანკი იყენებს რამდენიმე ძირითად ტექნოლოგიურ გზას: გადახდები, პროდუქტის ინოვაცია, ციფრული საბანკო სერვისები, ლოიალობის პროგრამები და ჩაშენებული ფინანსური

სერვისები. საწყის ეტაპზე, აქცენტი კეთდება რეგისტრირებული და დამოწმებული მომხმარებლების რაოდენობის გაზრდაზე ციფრული არხების საშუალებით, როგორიცაა ვებსაიტი, სხვადასხვა სოციალური პლატფორმა და SMS კომუნიკაცია.

შემდგომში, ბანკი აპირებს გააღრმავოს მომხმარებელთა ჩართულობა ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი ლოიალობის პროგრამებისა და სხვა მიმზიდველი ციფრული ინიციატივების მეშვეობით. ბანკი ელოდება, რომ კლიენტების უფრო მაღალი კმაყოფილება, რომელიც გამოწვეულია ტექნოლოგიებზე ორიენტირებული გაუმჯობესებით, ბუნებრივად გამოიწვევს სიტყვიერ რეკლამირებისა და ჯვარედინი გაყიდვების შესაძლებლობებს.

ეს ყოვლისმომცველი ტექნოლოგიური სტრატეგია ხაზს უსვამს ბანკის ვალდებულებას დარჩეს მუდმივად განვითარებადი საბანკო ლანდშაფტის წინა პლანზე. თანამედროვე ტექნოლოგიების ძალის გამოყენებით, ბანკი მიზნად ისახავს კლიენტებისთვის მორგებული, ეფექტური და ინოვაციური ფინანსური სერვისების მიწოდებას.

4. კაპიტალის ძირითადი მაჩვენებლები

საქართველოს საბანკო სექტორისათვის განსაზღვრული კაპიტალის მოთხოვნები ეფუძნება ბაზელ III-ის სტანდარტსა და ევროპის პარლამენტისა და საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის 575/2013 რეგულაციისა და 2013/36/EU დირექტივას (CRR-CRD package). ბანკის საზედამხედველო კაპიტალი შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: პირველადი და მეორადი კაპიტალი.

კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება "კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით", რომლის თანახმადაც, პილარ 1-ის ფარგლებში, მინიმალური მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის (CET 1) კოეფიციენტი - 4.5%;
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1+ AT 1) - 6%;
- საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი (CET 1+AT1 +Tier 2) - 8%;

პილარ 2-ის მოთხოვნები მოიცავს შემდეგ ბუფერებს:

- არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერი (CICR);
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკის ბუფერი (HHI), რომელიც შედგება სახელობითი კონცენტრაციისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებისგან;
- წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერი – საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით დაწესებული ბუფერი;
- საკრედიტო რისკის კორექტირების ბუფერი (CRA), რომლის დაწესება დაკავშირებულია ადგილობრივი აღრიცხვის სტანდარტებიდან ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლასთან. CRA ბუფერის მიზანია აქტივებისათვის შექმნილი არასაკმარისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით გამოწვეული საკრედიტო რისკის შემცირება და კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა.
- წმინდა GRAPE ბუფერი – ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის რისკის კატეგორიების შეფასებისა და ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის (GRAPE) შედეგების განხილვის ფარგლებში

დაწესებული ბუფერი. წმინდა GRAPE ბუფერის დაწესების მიზანია კაპიტალის ადეკვატური ბუფერის განსაზღვრა GRAPE-ის ფარგლებში იდენტიფიცირებული იმ რისკებისათვის, რომლებსაც არ მოიცავს ან არასათანადოდ ასახავს ამ წესით განსაზღვრული პილარ 2-ის კაპიტალის ბუფერები.

დამატებით, კომერციულ ბანკებს უწესდებათ კაპიტალის კომბინირებული ბუფერის მოთხოვნა, რომელიც შედგება კაპიტალის კონსერვაციის ბუფერის (2.5%-ის ოდენობით, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული საშეღავათო პერიოდიდან გამომდინარე 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 0%-ის ტოლია, მაგრამ, რომლის დაკმაყოფილებაც ბანკებს მოეთხოვებათ 2024 წლის 1 იანვრიდან), კონტრციკლური ბუფერისა (რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრისთვის 0%-ის ტოლია, თუმცა კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან 2024 წლის 15 მარტისთვის დააკმაყოფილონ აღნიშნული ბუფერის განაკვეთი 0.25%-ის ოდენობით, 2025 წლის 15 მარტისთვის – 0.5%-ის ოდენობით, 2026 წლის 15 მარტისთვის – 0.75%-ის ოდენობით და 2027 წლის 15 მარტისთვის – 1%-ის ოდენობით) და სისტემურობის ბუფერისგან.

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრისთვის კაპიტალის მოთხოვნები, როგორც ბანკის პირველად, ასევე საზედამხედვლო კაპიტალზე არის შემდეგი:

მინიმალური მოთხოვნები	2023*		2022*	
პილარ 1-ის მოთხოვნები	თანხა	კოეფიციენტი	თანხა	კოეფიციენტი
ძირითადი პირველადი კაპიტალი	5,438,366	4.50%	2,575,808	4.50%
პირველადი კაპიტალი	7,251,154	6.00%	3,434,410	6.00%
საზედამხედველო კაპიტალი	9,668,206	8.00%	4,579,214	8.00%
კომბინირებული ბუფერი				
კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი	-	0.00%	-	0.00%
კონტრციკლური ბუფერი	-	0.00%	-	0.00%
სისტემური რისკის ბუფერი	-	0.00%	-	0.00%
პილარ 2-ის მოთხოვნები				
ძირითადი პირველადი კაპიტალი	14,312,974	11.84%	3,859,693	6.74%
პირველადი კაპიტალი	17,619,125	14.58%	5,146,757	8.99%
საზედამხედველო კაპიტალი	21,969,325	18.18%	8,540,473	14.92%
პილარ-ის ჯამური მოთხოვნები				
ძირითადი პირველადი კაპიტალი	19,751,340	16.34%	6,435,501	11.24%
პირველადი კაპიტალი	24,870,280	20.58%	8,581,167	14.99%
საზედამხედველო კაპიტალი	31,637,531	26.18%	13,119,687	22.92%

*2023 წელს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები დათვლილია ფასს სტანდარების საფუძველზე, ხოლო 2022 წლის კოეფიციენტები - ეროვნული ბანკის სააღრიცხვო წესების საფუძველზე.

კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები წლის ბოლო მდგომარეობით:

კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებლები	2023*	2022*
ძირითადი პირველადი კაპიტალი	**53,095,548**	**48,511,185**
პირველადი კაპიტალი	**53,095,548**	**48,511,185**
მეორადი კაპიტალი	**2,875,000**	**3,295,150**
საზედამხედველო კაპიტალი	**55,970,548**	**51,806,334**
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები	**120,852,574**	**57,240,173**
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	**43.93%**	**84.75%**
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი	**43.93%**	**84.75%**
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი	**46.31%**	**90.51%**

*2023 წელს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები დათვლილია ფასს სტანდარების საფუძველზე, ხოლო 2022 წლის კოეფიციენტები - ეროვნული ბანკის სააღრიცხვო წესების საფუძველზე.

ბანკი ინარჩუნებს აქტიურად მართულ კაპიტალის ბაზას ბიზნესისთვის დამახასიათებელი რისკების უზრუნველყოფის მიზნით. ბანკის კაპიტალის ადეკვატურობა კონტროლდება, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბანკის მეთვალყურეობის მიზნით დადგენილი კოეფიციენტებით (სხვა ზომებთან ერთად).

ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია (i) უზრუნველყოფა იმისა, რომ ბანკი შესაბამისობაში იყოს სებ-ის მიერ დაწესებულ კაპიტალის მოთხოვნებთან, (ii) ბანკის მიერ უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპის მიხედვით საქმიანობის გაგრძელების უზრუნველყოფა და აღნიშნულის მონიტორინგი ყოველთვიური ანგარიშებით, რომელიც ასახავს მათ გამოთვლებს და მიმოხილულია და შემდგომ წარდგენილია ეროვნული ბანკისთვის.

ბანკი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური პირობების ცვლილებისა და თავისი საქმიანობისთვის დამახასიათებელი რისკების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, ბანკს შეუძლია ხელახლა შეაფასოს თავისი ბიზნეს სტრატეგია ან შეცვალოს აქციონერებისთვის კაპიტალზე უკუგების ოდენობა ან გამოუშვას კაპიტალის ფასიანი ქაღალდები. წინა წლებთან შედარებით ბანკის მიზნებში მეტად პრიორიტეტული გახდა ციფრული არხების და პროდუქტების განვითარება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის განთავსებული საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 727,464 აქციებს ნომინალური ღირებულებით 100 ლარი ერთი აქცია საიდანაც წლის ბოლოს მდგომარეობით 717,332 აქცია სრულად იყო განაღდებული (2022: 629,464 რეალიზებული სრულად განაღდებული აქციები ნომინალური ღირებულებით 100 ლარი ერთი აქცია).

5. აქციონერები და ჯგუფის სტრუქტურა

2023 წელს ბანკმა არსებულ აქციონერებზე გამოუშვა 98,000 ცალი ჩვეულებრივი აქცია, თითოეული ნიმინალური ღირებულებით - 100 ლარი და გაზარდა სააქციო კაპიტალი 9,800,000

ლარით, საიდანაც 2023 წლის 31 დეკემბრისთვის სრულად განაღდებულია 8,786,800 ლარის აქციები. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერები არიან:

„სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ“ (ს/კ C41521) რომელიც ბანკის 58.83% -ს ფლობს, შპს „პარტომტა“ (ს/კ 404580271) - 36.42%-იანი წილით, სს „სილქ ჰოლდინგი“ (ს/კ 405496404) - 4.74%, სხვა - 0.01% (2022: „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ (მალტა) ლიმიტედ“ (ს/კ C41521) – 60.00%, შპს „პარტომტა“ (ს/კ 404580271) – 37.14%, სს „სილქ ჰოლდინგი“ (ს/კ 405496404) - 2.85%, სხვა - 0.01%). ბანკის ბენეფიციარი მფლობელები არიან გიორგი რამიშვილი, ერკინ ტატიშევი, ალექსი თოფურია და დევიდ ფრანც ბორგერი.

აქციონერთა ჯგუფის სტრუქტურა:



სს სილქ ბანკი წარმოადგენს სს გაერთიანებული კლირინგ ცენტრის მეწილეს და შემდეგი კომპანიების ერთ-ერთ წევრს: საქართველოს ფინანსური ბაზრების ხაზინების ასოციაცია ა(ა)იპ, საქართველოს საბანკო ასოციაცია ა(ა)იპ, საქართველო-შვეიცარიის ბიზნეს ასოციაცია ა(ა)იპ, ევროპული პალატების საბჭო საქართველოში ა(ა)იპ და ინდუსტრიის გაერთიანებული კომიტეტი ა(ა)იპ.

6. კორპორაციული მართვა

ბანკის კორპორაციული სტრუქტურა იერარქიულად შედგება აქციონერთა საერთო კრების, სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოსაგან, რომელთაგან თითოეულს გააჩნია საკუთარი პასუხისმგებლობა და უფლებამოსილება, საქართველოს კანონმდებლობისა და ბანკის წესდების შესაბამისად. ბანკის კორპორაციული მართვის სტრუქტურის შემუშავების მთავარ მიზანს წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა ყველა დონეზე და წარმომადგენლების (დირექტორების) წახალისება იმისათვის, რომ იმოქმედონ საკუთარი საქმიანობისა და აქციონერების მიზნების შესაბამისად. მართვის სტრუქტურა შემუშავებულ იქნა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა, რაც სამეთვალყურეო საბჭოს ანიჭებს მმართველობის ზედამხედველობის (გადაწყვეტილების კონტროლის) ფუნქციას, ხოლო დირექტორებს კი - ოპერაციულ საქმიანობაზე პასუხისმგებლობას (გადაწყვეტილებების მენეჯმენტი).

აქციონერთა კრება

აქციონერთა საერთო კრება ბანკის უმაღლესი შიდა მმართველი ორგანოა, იგი ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს, რომლებიც პასუხს აგებენ დირექტორთა საბჭოს ზედამხედველობაზე.

აქციონერთა საერთო კრების უფლებამოსილებებია:

- ბანკის წესდების ცვლილება;
- ბანკის საწესდებო კაპიტალის, საფირმო სახელწოდების, იურიდიული მისამართის ცვლილება;
- ბანკის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- შერწყმის ან გაყოფის შესახებ გადაწყვეტილების მიღბა;
- აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლების შეზღუდვა ან/და გაუქმება საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით ახალი აქციების გამოშვების/ემისიის დროს;
- გადაწყვეტილების მიღება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა/გამოწვევა;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და შრომითი ანაზღაურების გადახდის წესის განსაზღვრა;
- გადაწყვეტილების მიღება ბანკის აუდიტის განმახორციელებელი პირის შერჩევის შესახებ;
- სამეთვალყურეო საბჭოს დებულების დამტკიცება;
- გადაწყვეტილების მიღება ბანკის ქონების გასხვისება/შეძენა/გაცვლის თაობაზე, თუ ამ აქტივების ღირებულება შეადგენს ბანკის აქტივების ღირებულების 50%-ზე მეტს.

2023 წლის განმავლობაში ჩატარდა ოთხი აქციონერთა კრება, სადაც განხილული იქნა შემდეგი საკითხები:

- საქართველოს ეროვნული ბანკის 2022 წლის 31 ოქტომბრის N151/04 ბრძანებით დამტკიცებული ,,კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების“ მიხედვით ბანკის ადმინისტრატორების შესაბამისობის განხილვა/დადასტურება;
- სს სილქ ბანკის 2023 წლის 6 თვის ფინანსური შედეგების განხილვა;
- კაპიტალის გაზრდა, დამატებითი აქციების გამოშვება;
- ბანკის წესდების ახალი რედაქციით დამტკიცება;
- ბანკის სადამფუძნებლო შეთანხმების დამტკიცება;
- ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა და მისი დამტკიცება.

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო (შემდგომში ,,საბჭო“) შედგება ექვსი წევრისგან (არც ერთი მათგანი არ არის იმავდროულად ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრი), რომელთაგან სამი (თავმჯდომარის

ჩათვლით), დამოუკიდებელი წევრია. სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს აქციონერთა საერთო კრება ირჩევს 4 (ოთხი) წლის ვადით. მათი განმეორებითი არჩევა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს უფლებამოსილება უგრძელდება ვადის გასვლამდე ან ვადის გასვლის შემდეგ მორიგი საერთო კრების მოწვევამდე, რომელზეც აირჩევა სამეთვალყურეო საბჭოს ახალი წევრი.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აქტიურად არის ჩართული ბანკის საქმიანობაში და სისტემატიურად ეცნობა ბანკის საქმინობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. 2023 წლის განმავლობაში ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს 54 სხდომა. განხილული და დამტკიცებული საკითხები მოიცავდა: საბანკო გარანტიებისა და სესხებია გაცემა; ბონდის შეძენის დამტკიცება; ბანკის არსებული პროგრამული უზრუნველყოფების განახლება, ახალი პროგრამული უზრუნველყოფების დანერგვა; დირექტორატისა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების დამტკიცება; ბანკის მიერ ქონებების შეძენა/რეალიზაცია; სხვადასხვა პოლიტიკების, დებულებებისა და ინსტრუქციების დამტკიცება; სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის შეფასების დამტკიცება; ბანკის გაჯანსაღების გეგმის დამტკიცება; ფილიალების გახსნის საკითხის განხილვა; ახალი საშტატო სტრუქტურის დამტკიცება; ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების დადგენის შესახებ პოლიტიკის (პროექტის) განხილვა/დამტკიცება და ბანკში ადმინისტრატორად მიჩნეული პოზიციების ჩამონათვალის განსაზღვრა; საქართველოს ეროვნული ბანკის 2022 წლის 31 ოქტომბრის N151/04 ბრძანებით დამტკიცებული ,,კომერციული ბანკების ადმინისტრატორთა შესაფერისობის კრიტერიუმების შესახებ დებულების“ მიხედვით ბანკის ადმინისტრატორების შესაბამისობის განხილვა/დადასტურება; ბანკის 2023 წლის შედეგების განხილვა; AML დეპარტამენტის ანგარიშის განხილვა 2022 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ; ფილიალების საქმიანობისა და ფინანსური მაჩვენებლების მიმოხილვა; მობილური აპლიკაციის გაშვების ფაზების მიმოხილვა; 2024 წლის ბიუჯეტის განხილვა და სხვა.

სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქცია მოვალეობებია:

- განსაზღვროს ბანკის ბიზნეს პოლიტიკა, მიიღოს და დაამტკიცოს პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები;
- დაამტკიცოს ბანკის განვითარების სტრატეგიული და წლიური გეგმა, ბიუჯეტის ჩათვლით;
- მოამზადოს რეკომენდაციები აქციონერთა საერთო კრებისათვის, შეასრულოს აქციონერთა საერთო კრების მითითებები;
- აირჩიოს/გაათავისულფოს დირექტორატის წევრები, მათ შორის გენერალური დირექტორის ჩათვლით;
- დაამტკიცოს საკრედიტო, საინვესტიციო, სავალუტო, აქტივებისა და ვალდებულებების მართვის, აქტივების შეფასების, მათი კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების ადეკვატური რეზერვის შექმნის შიდა პოლიტიკები და პროცედურები. ასევე, დაამტკიცოს ბანკის საკრედიტო კომიტეტის, დირექტორატის, კორპორაციული მდივნის და აუდიტის შესახებ შიდა დებულებები;
- დაამტკიცოს ბანკის მიერ საკრედიტო რესურსებზე და დეპოზიტებზე გამოსაყენებელი მინიმალური და მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთების ოდენობა;

- კონტროლი გაუწიოს ბანკის დირექტორატის საქმიანობას;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შეძენის, გასხვისების ან უფლებრივად დატვირთვის შესახებ;
- მიიღოს გადაწყვეტიულება ბანკის დაფინანსების შესახებ, იქნება ეს სესხის აღება, ობლიგაციების გამოიშვება თუ სხვა რაიმე ფორმა;
- მოითხოვოს აუდიტორისგან უშუალო ანგარიშგება;
- მიიღოს გადაწყვეტილება ბანკის ქონების გასხვისება/შეძენა/გაცვლის თაობაზე, თუ ამ აქტივების ღირებულება შეადგენს ბანკის საერთო კაპიტალის 10%-ზე მეტს;
- მიიღოს გადაწყვეტილება შვილობილი საწარმოს შექმნა/ლიკვიდაციაზე;
- მიიღოს გადაწყვეტილება ახალი საბანკო საქმოანობის დაწყებაზე/შეწყვეტაზე;
- შეასრულოს აქციონერთა კრების მიერ დაკისრებული ამოცანები.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრის დამოუკიდებლობა განისაზღვრება კორპორაციული მართვის კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობთ.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობის მრავალფეროვნება:

ბიზნესის ეფექტურად მართვისთვის მნიშვნელოვანია სამეთვალყურეო საბჭოს მრავალფეროვანი უნარჩვევები, ცოდნა და გამოცდილება. ბანკს მიაჩნია რომ სამეთვალყურეო საბჭოს არსებული ზომა და შემადგენლობა შესაბამისია ბანკის მოცულობასთან და ოპერაციების სირთულესთან. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თითოეულ წევრს უკავია და/ან ეკავა მაღალი პოზიციები ბიზნესის სხვადახვა მიმართულებით. ყოველივე აღნიშნული სამეთვალყურეო საბჭოს აძლევს საშუალებას თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პირად, მრავალფეროვან და მდიდარ გამოცდილებას. სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრების დამოუკიდებლობის ხარისხი სრულად შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ სათანადო მოთხოვნებს.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

ირაკლი მანაგაძე
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (დამოუკიდებელი წევრი)

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2019 წლის თებერვლიდან

მიღებული განათლება:

1991-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით.

სამუშაო გამოცდილება:

1991-1992-საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ატაშე;
1992-1993-საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სახელმწიფო კომიტეტი;
1993-1994-საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკის განყოფილების წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი და სამდივნოს უფროსი;

1994-საქართველოს მინისტრთა კაბინეტის საერთაშორისო საფინანსო და ეკონომიკურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამთავრობო კომისიის სამდივნოს წამყვანი სახელმწიფო მრჩეველი.
1994-1996-მსოფლიო ბანკის აღმასრულებელი დირექტორის თანაშემწე (ვაშინგტონში (აშშ));
1996-1998-მსოფლიო ბანკის მეოთხე ევროპული დეპარტამენტის მუნიციპალური და სოციალური ინფრასტრუქტურის განყოფილების ინსტიტუციონალური სპეციალისტი;
1998-2005-საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;
2005-2015-EBRD, უფროსი მრჩეველი პოლიტიკის საკითხებში, ფინანსური ინსტიტუტების ჯგუფი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი;
2015-დღემდე-J. Stern & Co. LLP, უფროსი მრჩეველი, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი;
2017-დღემდე-მსოფლიო ბანკის ჯგუფი, კონსულტანტი, ვაშინგტონი, კ.ო.;
2018-2019 წწ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, სს „ლიბერთი ბანკი“, საქართველო.
ირაკლი მანაგაძეს მინიჭებული აქვს ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

ვასილ კენკიშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/თანათავმჯდომარე

სამეთვალყურეო საბჭოს თანათავმჯდომარე 2018 წლიდან

მიღებული განათლება:

1995-2000-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, იურისტი;
2000-2003-საერთაშორისო მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, ასპირანტი;
2003-2004-AMERICAN UNIVERSITY, WASHINGTON COLLEGE OF LAW, საერთაშორისო სამართლებრივ მოძღვრებათა მაგისტრი (LLM), საერთშორისო ბიზნეს სამართლის განხრით.

სამუშაო გამოცდილება:

2005-საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კომპანია (GIOC) სამართლებრივი კონსულტანტი;
2004-2006-სს "საქართველოს რკინიგზა" რესტრუქტურიზაციისა და განვითარების სააგენტოს რესტრუქტურიზაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
2010-2011-შპს "ესარჯი ინვესტმენტსი" დირექტორი;
2010 წლიდან დღემდე შპს „ფი.ელ.ეს.“-ის დირექტორი;
2011-2018-სს "სილქ ბანკი" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
2012-დღემდე შპს "ესარჯი ინვესტმენტსი”, გენერალური დირექტორი;
2017-2020 წლამდე სს „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; 2020 წლიდან დღემდე სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი.
2019 წლიდან დღემდე შპს „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგ“-ის დირექტორი;
2022 წლიდან დღემდე შპს „სილქნეტ ჰოლდინგის“ დირექტორი;
2022 წლიდან დღემდე შპს „სილქ რიალ ისთეით“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

დევიდ ფრანც ბორგერი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2014 წლიდან

მიღებული განათლება:

1985-1987-Berufsakademie, გამოყენებითი საინფორმაციო ტექნოლოგიების კურსი, Wirtschaftsassistent ხარისხი, მანჰაიმი, გერმანია;
1990-1995-ვიტენის/ჰერდეკის უნივერსიტეტი, ბიზნეს ეკონომიკის კურსი, Diplom-Ökonom ხარისხი, გერმანია;
1996-2000-ლონდონის ეკონომიკის სკოლა, რისკების ფინანსური კვლევა და ფინანსური ინსტრუმენტების საბუღალტრო აღრიცხვა, ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი (PhD) ბუღალტერიასა და ფინანსებში, გაერთიანებული სამეფო.

სამუშაო გამოცდილება:

1993-1996-საერთაშორისო სავაჭრო ცენტრი (ITC UNCTAD/WTO), კონსულტანტი,ჟენევა, შვეიცარია;
1996-2000-ლონდონის ეკონომიკის სკოლა, სასწავლო საბჭოს წევრი და ლექტორი, გაერთიანებული სამეფო;
2000-2003-ბოსტონის კონსალტინგური ჯგუფი, პროექტის ხელმძღვანელი, მიუნხენი, გერმანია;
2008-2009-შპს „ტერაკოტა გრუფ“, ბიზნესის განვითარების საბჭოს წევრი;
2005-დღემდე-შპს „სილქ როუდ სერვისიზ“, მმართველი დირექტორი;
2016 წლიდან დღემდე შპს „ესარეს ჯორჯია ფანდ“-ის დირექტორი;
2016 წლიდან დღემდე სს „სილქნეტის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2017 წლიდან დღემდე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წინანდლის ფესტივალის“ გამგეობის წევრი;
2019 წლიდან დღემდე შპს „ბახვი ჰაიდრო პაუერის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2019 წლიდან დღემდე სს „ალმონდ გარდენის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე/წევრი;
2019-2023 პერიოდში სს „ახალი სასტუმროს" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2022 წლიდან დღემდე შპს „სილქ რიალ ისთეით“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2022 წლიდან დღემდე შპს „ლიმონი 2009“-ის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

მზია ქოქუაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამოუკიდებელი წევრი)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2018 წლიდან

მიღებული განათლება:
1986-1992-თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამშენებლო ეკონომიკა და მენეჯმენტი;

1999-2001-საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია.

სამუშაო გამოცდილება:

2005-2007-შპს „ლომისი“ მთავარი ბუღალტერი;
2007-2009-შპს „ინტერპლასტი“ მთავარი ბუღალტერი;
2009-2010 -შპს „ბარამბო“ მთავარი ბუღალტერი;
2010-შპს „ფინანსური მართვის ჯგუფი“ აუდიტი;
2010 წლიდან დღემდე შპს „ეფემჯი კონსულტანტის“ უფროსი პარტნიორი, დირექტორი.

არჩილ ლურსმანაშვილი
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2023 წლიდან

მიღებული განათლება:

2005-2009 - ბიზნესის მართვის ბაკალავრი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო.

სამუშაო გამოცდილება:

2009-2012 - შპს „PwC საქართველო“, ფინანსური აუდიტის კონსულტანტი/ფინანსური აუდიტის უფროსი კონსულტანტი;
2012-2014 - შპს „ესარჯი ინვესტმენტსი“, ფინანსური მენეჯერი;
2014-2021 - შპს „ესარჯი ინვესტმენტსი“, ფინანსური დირექტორის მოადგილე;
2016-2021 წლამდე შპს „ბიზნეს ლიტერატურას“ დირექტორი;
2021-2022 - სს „სილქ ბანკი“, გენერალური დირექტორი;
2013-2023 წლამდე შპს „ბიოსაწვავი საქართველოს“ დირექტორი;
2016-2023 წლამდე შპს „ლი-იონი“-ს დირექტორი;
2016-2023 წლამდე შპს „კოფი ბოქსის“ დირექტორი;
2020-2023 წლამდე შპს „გაჯეტმობილის“ დირექტორი;
2020-2023 წლამდე შპს „ფლინტმობილის“ დირექტორი;
2021-2023 წლამდე შპს „ბლუ უოთერსის“ დირექტორი;
2021-2023 წლამდე შპს „გამ კაპიტალის“ დირექტორი;
2022-2023 წლამდე შპს „ელ ენდ ელ ჰოლდინგის“ დირექტორი;
2022-2023 - სს „სილქ ბანკი“, გენერალური დირექტორის პირველი მოადგილე;
2023 დღემდე სს „სილქ ბანკი“, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.

ნანა ჩხობაძე
სამეთვალყურეო საბჭოს წევრი (დამოუკიდებელი წევრი)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრი 2022 წლიდან

მიღებული განათლება:

2005-2009 - კავკასიის ბიზნესის სკოლა, ფინანსები;
2010-2014 – ACCA წევრი.

სამუშაო გამოცდილება:

2007-სს „საქართველოს ბანკი“ საკრედიტო ბარათების ოპერატორი;
2008-დღემდე „PricewaterhouseCoopers Georgia“, აუდიტის მენეჯერი.

სამეთვალყურეო საბჭოს, საბჭოს კომიტეტების და მათი წევრების საქმიანობის შეფასება

სამეთვალყურეო საბჭო საკუთარი ეფექტიანობის გასაზრდელად იყენებს წლიურ თვითშეფასების პროცესს და სამ წელიწადში ერთხელ გარე შემფასებლის შეფასებას, რაც მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია აღნიშნული მიზნის მისაღწევად. 2022 წლის საქმიანობა შეაფასა გარე შემფასებელმა - საკონსულტაციო კომპანია Grant Thornton-მა. შეფასების ძირითადი მიმართულებები იყო საბჭოს და კომიტეტების შემადგენლობა, წევრების მრავალფეროვნება, წევრების კომპეტენცია, საბჭოს წესდება, საბჭოს სამუშაო პროცესები, სტრატეგიული მმართველობა, სისტემების და პროცესების მონიტორინგი, სტრატეგიული მიზნების იმპლემენტაცია, ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა, კომუნიკაცია დირექტორატთან, სხდომებში მონაწილეობა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის როლი შეხვედრების სიხშირე, რისკის დონის მართვა, კონტროლის სისტემების დანერგვა, მხილების მექანიზმის არსებობა და დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელება.

თითოეული აქტივობის შეფასება დაეფუძნა ბანკისგან მიღებულ ინფორმაციას, დოკუმენტების, პროცედურებისა თუ წესდებების შესაბამისად და განისაზღვრა რამდენად შეესაბამება არსებული მდგომარეობა სამეთვალყურეო საბჭოს ეფექტურ ფუნქციონირებას.

შეფასების შედეგად გამოვლინდა სფეროები, რომლებშიც სამეთვალყურეო საბჭო კარგად ასრულებდა თავის როლს და ფუნქციებს და დადგინდა, რომ საბჭოს საქმიანობა მთლიანაობაში არის ეფექტური და ძირითადად შეესაბამება არსებულ რეგულაციებს. საბჭო აქტიურად მუშაობს შეფასების შედეგად მიღებული რეკომენდაციების გასაუმჯობესებლად, მათ უახლოეს მომავალში აღმოსაფხვრელად.

2023 წელს ჩატარდა სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ყოველწლიური თვითშეფასება, რომლის ფარგლებშიც სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა შემდეგი ძირითადი საკითხები: ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურის განსაზღვრა; ეთიკის სტანდარტები და ქცევის კოდექსი; ბანკის სტრატეგიის განსაზღვრა და მისი განხორციელების მონიტორინგი; კანონმდებლობასთან და საზედამხედველო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; რისკების აპეტიტის განსაზღვრა და მასთან რისკების მართვის შესაბამისობა; დირექტორატის საქმიანობის/გადაწყვეტილებების მონიტორინგი და შეფასება; ანაზღაურების სისტემის მონიტორინგი; მაკონტროლებელი ფუნქციების ეფექტურობის და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა; ბანკის ბიზნეს უწყვეტობის პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება; დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციების კონტროლი; სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა და დაკომპლექტება; სამეთვალყურეო საბჭოსთან არსებული კომიტეტები და სხვა. საბჭოს საქმიანობა მთლიანაობაში არის ეფექტური და შესაბამისობაშია არსებულ რეგულაციებთან. სფეროებზე, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას, საბჭო აქტიურად მუშაობს.

დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია ბანკის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან

დაკავშირებულ საქმიანობასა და მართვზე, მის წევრებს (დირექტორებს) ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო არაუმეტეს 4 (ოთხი) წლის ვადით, მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია.

ბანკის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ენიჭებათ სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულ დირექტორთა საბჭოს წევრებს.

დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება დირექტორთა ნახევარზე მეტი.

დირექტორთა საბჭო შედგება მინიმუმ სამი (3) წევრისგან, გენერალური დირექტორის ჩათვლით და გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. თითოეულ წევრს გააჩნია ხმის ერთი უფლება. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გენერალური დირექტორის ხმა გადამწყვეტია.

დირექტორთა საბჭოს უფლება-მოვალეობებია:

- ზედამხედველობა გაუწიოს დაკრედიტების, ანგარიშსწორების, დაფინანსების, ნაღდი ფულით მომსახურების, ბანკის ფულადი სახსრებისა და ძვირფასეულობის დაცვას, აღრიცხვასა და ანგარიშგებას, შიდა კონტროლსა და აღრიცხვას;
- უზრუნველყოს ბანკის მიერ კლიენტებისთვის სათანადო მომსახურების გაწევა და ზედამხედველობა გაუწიოს ბანკის სხვა ძირითად საქმიანობას;
- გადაწყვიტოს ნებისმიერი სხვა საკითხი, რომელიც შესაძლოა სამეთვალყურეო საბჭომ და/ან აქციონერთა საერთო კრებამ დაავალოს დირექტორთა საბჭოს (ან დირექტორთა საბჭოს რომელიმე ერთ წევრს);
- სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული პოლიტიკის, კანონქვემდებარე ნორმატიული და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება და ასეთ პოლიტიკასთან, კანონქვემდებარე ნორმატიულ და მარეგულირებელ დოკუმენტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- მომავალი წლის ბიზნეს გეგმის მომზადება და წარდგენა სამეთვალყურეო საბჭოზე დასამტკიცებლად;
- კადრების დანიშვნა, გათავისუფლება, ტრენინგისა და ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- საჭიროების შემთხვევაში, რიგგარეშე აქციონერთა საერთო კრების მოწვევა;
- ბანკის შინაგანაწესის დამტკიცება;
- ბანკის სტრუქტურული ერთეულების შესახებ დებულებების და თანმდევი ინსტრუქციების დამტკიცება;
- შეიმუშავოს ბანკის პოლიტიკა, შიდაგანაწესი და ნებისმიერი სხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ და უზრუნველყოს ასეთი პოლიტიკის, შიდაგანაწესისა და ნებისმიერი სხვა სახის მარეგულირებელი დოკუმენტის შესრულება.

დირექტორთა საბჭოს წევრების კვალიფიკაცია:

ალექსი ხოროშვილი
გენერალური დირექტორი

მიღებული განათლება:
2000-2004 - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, ფინანსები და ბუღალტერია, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო;
2002-2003 - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი, ფინანსები და ბუღალტერია, ჩრდილოეთ დაკოტას უნივერსიტეტი, აშშ (University of North Dakota, USA);
2019- MIT Sloan & MIT CSAIL აღმასრულებელი კურსი ხელოვნური ინტელექტისა და მისი გავლენის შესახებ ბიზნეს სტრატეგიაზე

სამუშაო გამოცდილება:
2003 - სს „საქართველოს ბანკი“, SME სესხების ოფიცერი;
2003-2006 - შპს „Ernst & Young”, უფროსი აუდიტორი, თბილისი, საქართველო;
2006-2008 - LLP „Ernst & Young”, უფროსი აუდიტორი, ნიუ უირკი, აშშ;
2008-2009 - შპს „Ernst & Young”, აუდიტის მენეჯერი, თბილისი, საქართველო;
2009-2015 - სს „ლიბერთი ბანკი“, აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე (აღმასრულებელი);
2015-2017 - სს „ლიბერთი ბანკი“, აღმასრულებელი დირექტორი (CEO);
2018 - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბიზნესის სკოლის დეკანის საკონსულტაციო საბჭოს წევრი;
2019 - ბათუმის ქართულ-ამერიკული სკოლა, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
2020-2021 - სს „თიბისი ლიზინგი“ სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;
2018-2022 - სს “ნექსუს“, დირექტორი;
2018-დღემდე - სს “ნექსუს“, აღმასრულებელი დამფუძნებელი;
2019 წლიდან დღემდე სს “ნექსუს“, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.
2019 წლიდან დღემდე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრის“ გამგეობის წევრი;
2021-2022 წლამდე სს „სილქ ჰოლდინგის“ გენერალურ დირექტორი;
2022-დღემდე - სს „სილქ ბანკი“, გენერალური დირექტორი.

გიორგი ღიბრაძე
იურიდიული დირექტორი

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები:
იურიდიული სამსახური, სასამართლო-აღსრულების მხარდაჭერის სამსახური, იურიდიული შესაბამისობის და საბანკო პროდუქტების სამართლებრივი მხარდაჭერის დეპარტამენტი.

მიღებული განათლება:
1993-1997-თბილისის საერო უნივერსიტეტი „გაენათი“, ჰუმანიტარულ-სოციალური ფაკულტეტი, იურიდიულ მეცნიერებათა მაგისტრის აკადემიური ხარისხი, სამართალმცოდნეობის სპეციალობა.

სამუშაო გამოცდილება:
2005-სს “კახეთის ენერგოდისტრიბუცია” იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
2005-სს “საქართველოს სახალხო ბანკი” იურიდიული დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;
2005-2021-სს „სილქ ბანკი“ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, რისკების დირექტორი;
2007-2012 წლამდე შპს „კონტაქტი-95“-ის ერთპიროვნული ხელმძღვანელი;
2015-2018 შპს „ჯი ელ სი“-ს დირექტორი;
2012 წლიდან დღემდე შპს „კონტაქტი-95“-ის გენერალური დირექტორი;
2021 დღემდე სს „სილქ ბანკი“ იურიდიული დირექტორი.

გიორგი კალოიანი
რისკების დირექტორი

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები:
რისკების მართვის დეპარტამენტი

მიღებული განათლება:
1991-1995 - ეკონომიკური ურთიერთობების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი, საერთაშორისო ეკონომიკის ბაკალავრი;
2000-2004 – Leopold-Franzens უნივერსიტეტი, საერთაშორისო ეკონომიკის სასწავლო პროგრამა, ავსტრია;
2009-2010 - ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი, ბიზნესის სკოლა, პროექტების მართვის მაგისტრი.

სამუშაო გამოცდილება:
2008-2009 - სს „სახალხო ბანკი“ SME და კორპორატიული საკრედიტო რისკის დეპორტამენტის უფროსი;
2009-2013 - სს „ლიბერთი ბანკი“ საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტის თანახელმძღვანელი;
2013-2018 - სს „ლიბერთი ბანკი“ საკრედიტო რისკის მართვისა და რეპორტინგის დეპარტამენტის უფროსი;
2018-2019 – Ltd. Boyport financial services, საკრედიტო პროცესის ოპტიმიზაციის კონსულტანტი, აკრა, განას რესპუბლიკა;
2022 - სს „ნექსუს“, პროდუქტის მფლობელი;
2022 - სს „სილქ ტექნოლოჯი“, პროდუქტის მფლობელი;
2022-დღემდე სს „სილქ ბანკი“ რისკების დირექტორი.

კახა ბასიაშვილი
რისკების დირექტორის მოადგილე

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები:
რისკების მართვის დეპარტამენტი

მიღებული განათლება:

1995-1999 - University of Economics, ჩეხეთის რესპუბლიკა, ბაკალავრი, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი: საერთაშორისო ვაჭრობა;
2000-2003 - University of Economics, ჩეხეთის რესპუბლიკა, მაგისტრატურა, საერთაშორისო ვაჭრობა.

სამუშაო გამოცდილება:
2008-2014 - CSOB Bank, ჩეხეთის რესპუბლიკა, რისკების მენეჯერი საერთაშორისო საბანკო ბაზარზე;
2014-2016 - საქართველოს ეროვნული ბანკი, უფროსი სპეციალისტი;
2016-2022 - სს „იშბანკი საქართველო“, რისკების მთავარი ოფიცერი (CRO);
2022 წლის 7 თებერვლიდან 24 ნოემბრამდე - სს „სილქ ბანკი“, რისკების დირექტორი;
2022 წლის 24 ნოემბრიდან დღემდე - სს „სილქ ბანკი“, რისკების დირექტორის მოადგილე.

დავით ნინიძე
პროდუქტებისა და ინოვაციების დირექტორი

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები:
პროცესების და პროცედურების დეპარტამენტი, პროდუქტების დეპარტამენტი, მერჩანტების ქსელის განვითარების და მართვის დეპარტამენტი

მიღებული განათლება:
2001-2005 - კავკასიის უნივერსიტეტის ბაკალავრი, ფინანსების მიმართულება.

სამუშაო გამოცდილება:
2005-2007 – სს „ბანკი რესპუბლიკა“, შიდა აუდიტორი.
2007-2010 - სს „ბანკი რესპუბლიკა“, საცალო საბანკო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.
2010-2014 – სს „ლიბერთი ბანკი“, პროექტების დეპარტამენტის უფროსი.
2014-2018 - სს „ლიბერთი ბანკი“, ალტერნატიული არხის ხელმძღვანელი, აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე.
2018 - 2022 - სს „ნექსუსი“, პროდუქტებისა და ინოვაციების დირექტორი.
2022 წლიდან დღემდე შპს „სილქ ფეი“-ს დირექტორი;
2022 წლიდან დღემდე შპს „სილქ ქომერსის“ დირექტორი (ერთპიროვნული);
2022 - დღემდე - სს „სილქ ბანკი“ პროდუქტებისა და ინოვაციების დირექტორი.

ნათია მერაბიშვილი
ოპერაციების მართვის დირექტორი

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები:
საოპერაციო დეპარტამენტი, ლოჯისტიკის სამსახური

მიღებული განათლება:

1987-1992-თბილისის ივ. ჯავახიშვილისი სახელობის სახ. უნივერსიტეტი, მაკროეკონომიკის ფაკულტეტი;
1993-1994-იტალიის ქალაქ ფერარის უნივერსიტეტი, მაკროეკონომიკის ფაკულტეტი;
2010-2012-სერტიფიცირებულ და კორპორატიულ ბუღალტერთა ასოციაცია (ACCA).

სამუშაო გამოცდილება:
1992-1993-ეროვნული ბანკის ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის ეკონომისტი;
1993-1994-ეროვნული ბანკის სავალუტო ოპერაციების დეპარტამენტის მთავარი ეკონომისტი;
1994-1999 წლები, ეროვნული ბანკის ლიზენცირების განყოფილების უფროსი;
1999-2007-საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო ოპერაციების დეპარტამენტის უფროსი, უფროსის მოადგილე;
2007-2009-შიდა საბანკო ოპერაციების ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი, სს „სილქ ბანკი“;
2009–2010-სერვის ცენტრების მართვის დეპარტამენტის უფროსი, სს „სილქ ბანკი“;
2010-2011-საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი, სს „სილქ ბანკი“;
2011-2021- სს „სილქ ბანკი“, ფინანსური დირექტორი;
2021 წლიდან დღემდე სს „სილქ ბანკი“, ოპერაციების მართვის დირექტორი.

ირაკლი ბენდელიანი
ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი

კონტროლს დაქვემდებარებული მიმართულებები:
პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სამსახური, IT ინფრასტრუქტურის მართვის სამსახური, მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახური, პროექტების მართვის სამსახური, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მიღებული განათლება:
2004-2008-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწოფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკური ინფორმატიკა.

სამუშაო გამოცდილება:
2008-2010-სს „ბითიეი ბანკი“, პროგრამისტი;
2010-1015-სს „ბითიეი ბანკი“, პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი;
2015-2021-სს „სილქ ბანკი“, ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი;
2021 წლიდან დღემდე სს „სილქ ბანკი“, ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი.

აუდიტის კომიტეტი

კომიტეტი წარმოადგენს მუდმივ კოლეგიალურ ორგანოს და სრულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. აუდიტის კომიტეტი ბანკის კორპორაციული მართვის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია. ეს რგოლი ზედამხედველობას ახორციელებს შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობაზე, სათანადო რეკომენდაციებს შეიმუშავებს ამ

სამსახურისათვის და აქციონერთა ინტერესებს იცავს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საიმედოობის თვალსაზრისით. აუდიტის კომიტეტი პასუხს აგებს ბანკის რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის ზედამხედველობაზე, ასევე რისკის მართვის სისტემის ადეკვატურობის შემოწმებაზე ბანკის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

2023 წლის განმავლობაში ჩატარდა 4 აუდიტის კომიტეტი. განხილული და დამტკიცებული საკითხები მოიცავდა: 2022 წლის IFRS ანგარიშგების დამტკიცება; უფროსი შიდა აუდიტორის დასკვნების განხილვა სასამართლო აღსრულების მხარდაჭერის სამსახურის საქმიანობის შემოწმების შესახებ; 2024 წლის წლიური გეგმის დამტკიცება; საცალო სესხების განყოფილების შემოწმების შედეგების განხილვა; ინტერესთა კონფილიქტის მართვის შესახებ დასკვნის განხილვა; 2022 წელს ბანკის მასშტაბით განხორციელებული ტრანზაქციების ფოკუსირებული შემოწმების შედეგების წარდგენა და სხვა.

აუდიტის კომიტეტი შედგება ხუთი წევრისგან, მათ შორის აუდიტის კომიტეტის თავმჯდომარე არის დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის დებულების მიხედვით აუდიტის კომიტეტის კომპეტენციაა:

- შიდა აუდიტის და ბანკის გარე აუდიტორების ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- ბანკის წინასწარი ანგარიშგების მთლიანობის და უტყუარობის შემოწმება;
- საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი მოთხოვნების ბანკის მიერ დაცვის კონტროლი;
- ბანკში შიდა კონტროლისა და ფინანსური რისკები მართვის შესაბამისი სისტემების არსებობის და სწორი ფუნქციონირების კონტროლი;
- ბანკის ფინანსური ანგარიშგების, ყოველწლიური დამოუკიდებელი გარე აუდიტის ჩატარების კონტროლი;
- გარე აუდიტორის კვალიფიკაციის და დამოუკიდებლობის დონის ხარისხის კონტროლი;
- შიდა აუდიტის და დამოუკიდებელი აუდიტორის მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფა და თანმხლები პროცესების კონტროლი.

აუდიტის კომიტეტის მოვალეობა შემოიფარგლება კონტროლით და სამეთვალყურეო საბჭოსთვის შესაბამისი დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავებით.

რისკების კომიტეტი

თავისი საქმიანობით კომიტეტი სრულად ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. კომიტეტი არის მუდმივი კოლეგიალური ორგანო, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზურნველყოფს რისკების მართვის სისტემების განვითარების წინადადებების შემუშავებას; რისკების მართვის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის შემუშავებას; რისკების მართვის ინდივიდუალური საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების და პროექტების კოორდინაციას და სხვა საკითხების რეგულირებას, რაც განსაზღვრულია მოქმედი რეგულაციებით.

2023 წლის განმავლობაში ჩატარდა სამი რისკების კომიტეტი. განხილული და დამტკიცებული საკითხები მოიცავდა შემდეგს: საბაზრო და ლიკვიდურობის რისკის განხილვა, მარეგულირებელი და ფაქტობრივი კოეფიციენტები, საკრედიტო ხარისხი, ლიმიტები

დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციებზე, IFRS 9 LLP გაანგარიშების მეთოდოლოგია, სილქ ბანკის IT უსაფრთხოების არქიტექტურა და დაგეგმილი სამუშაოები, რისკის აპეტიტი, საოპერაციო და კიბერ რისკების ციკლური შეფასება, ბიზნესის უწყვეტობის გეგმა, რისკების მიმოხილვა და სხვა.

რისკების კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, მათ შორის რისკების კომიტეტის თავმჯდომარე არის დამოუკიდებელი წევრი. რისკების კომიტეტის დებულების მიხედვით რისკების კომიტეტი კომპეტენციის ფარგლებში:

- განიხილავს რისკის სტრატეგიებს, როგორც აგრეგირებულს, ისე ინდივიდუალური რისკის ჭრილში და აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს, მათ შორის, ბანკის მიმდინარე და მომავალი რისკის აპეტიტზე;
- ამზადებს და წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს ანაგრიშგებას, ბანკში არსებული რისკის კულტურის შესახებ და განიხილავს ბანკის რისკის პოლიტიკებს;
- მონიტორინგს უწევს დირექტორატს, რამდენად სათანადო პროცედურების დაცვით ხდება დირექტორატის მხრიდან ბანკის საქმიანობის რისკის პოლიტიკებთან შესაბამისობის უზრუნველეყოფა;
- თანამშრომლობს და მონიტორინგს უწევს რისკების დირექტორის საქმიანობას;
- რეკომენდაციას აძლევს სამეთვალყურეო საბჭოს რისკის სტრატეგიებისა და პოლიტიკების ეფექტურობის თაობაზე, მათ შორის, იდენტიფიცირებული რისკებითვის საკმარისი კაპიტალის შენარჩუნებასა და განაწილებაზე.
- მონიტორინგს უწევს კაპიტალისა და ლიკვიდობის მართვის სტრატეგიებს, ასევე ყველა სახის რისკს, როგორებიცაა, საკრედიტო, საბაზრო, საოპერაციო და რეპუტაციული რისკები, იმისთვის რომ უზურნველყოფილი იყოს რისკის აპეტიტთან;
- უზრუნველყოფს ბანკის სტრატეგიული მიზნების კოორდინაციას საოპერაციო მაჩვენებლებთან და მასთან დაკავშირებულ რისკებთან;
- უზურნველყოფს ბანკის რისკების იდენტიფიცირებას და შეფასებას;
- უზურნველყოფს კონკრეტული სიტუაციების მიმართ რისკებისადმი რეაგირების მიზნით რეკომენდაციების შემუშავებას, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს, ბანკის სხვა კომიტეტების ანდა ბანკის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოდების მოთხოვნის საფუძველზე;
- ახორციელებს საბანკო და ბანკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვა სახის რისკების შეფასებას და საბანკო რისკების მინიმიზაციის პროცესების გამართულად ფუნქციონირების ზედამხედველობას/მონიტორინგს და რეკომენდაციების გაცემას;
- მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნების დაცვის კუთხით ახორციელებს კაპიტალის მოცულობის მონიტორინგს და აქციონერთა მზაობის შეფასებას საჭიროებისას ბანკის კაპიტალის ზრდის კუთხით;
- აწამორებს რისკების მართვის ღონისძიებების გატარების მონიტორინგს;
- აწარმოებს გარე ფაქტორების ცვლილებების მონიტორინგს და რისკების მართვის სისტემის ადაპტაციას;

- ანალიზს უკეთებს ბანკის ხარჯების გაზრდის საკითხს ერთჯერადი პროექტებისთვის, რომელიც სცილდება წესდებით და კოლეგიალური ორგანოების მიერ განსხაზღვრული კომპეტენციის ფარგლებს და იძლევა რეკომენდაციებს;
- რეკომენდაციის კუთხით განსაზღვრავს ზარალის რეზერვების ოდენობის საკითხს, რომელიც სცილდება დადგენილ ნორმებს
- შემდგომი კალენდარული წლისთვის რისკების აპეტიტის ინდიკატორების და მათი ღირებულებების სტრუქტურის შესახებ ამზადებს წინადადებას;
- სტრატეგიული გეგმის პროექტზე, ბანკის მიერ დეკლარირებულ საინვესტიციო გეგმაზე ამზადებს დასკვნებს რისკის მატების მოთხვონების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში რისკის მატების ინდიკატორების სტრუქტურის შეცვლაზე ამზადებს წინადადებებს.

აღმასრულებელი დონის კომიტეტები

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი ჩართულია საბაზრო რისკის, ლიკვიდობის რისკის, საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვასა და ზედამხედველობაში. აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი აწესებს და ზედამხედველობას უწევს შიდა და გარე ლიკვიდობის მაჩვენებლებს, გეგმავს საპროგნოზო ფულად ნაკადებს, აწესებს ლიმიტებს საპროცენტო რისკების, სავალუტო რისკების, საბაზრო რისკების მართვისათვის.

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის შემადგენლობა:

- ფინანსური დირექტორი - კომიტეტის თავმჯდომარე;
- გენერალური დირექტორი - კომიტეტის წევრი;
- გენერალური დირექტორის მოადგილე - კომიტეტის წევრი;
- რისკების დირექტორი - კომიტეტის წევრი;
- ხაზინის უფროსი - კომიტეტის წევრი.

აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის ძირითადი ფუნქციები:

- ბანკის აქტივებისა და პასივების ეფექტური მართვის პროცესის განსაზღვრა;
- განიხილავს მიმდინარე და პერსპექტიული ლიკვიდურობის პოზიციებს და დაფინანსების წყაროებს;
- რისკსა და შემოსავლიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის მიღწევის მიზნით ფინანსური რისკების კომპლექსური მართვა, ქვედანაყოფების საქმიანობის კოორდინაცია რისკების მართვის სფეროში;
- ადგენს განფასებისა და ვადიანობის პარამეტრებს დეპოზიტების, სესხებისა და ინვესტიციებისათვის;
- ფინანსური რისკების მონიტორინგი (ლიკვიდობის, საპროცენტო და სავალუტო რისკი).

საკრედიტო კომიტეტი

საკრედიტო კომიტეტი ჩართულია ბანკის საცალო, მიკრო, მცირე და საშუალო, კორპორატიული, პირადი საბანკო მომსახურების კლიენტების საკრედიტო ლიმიტების ზედამხედველობაში, მართვასა და დამტკიცებაში.

კომიტეტის საქმიანობის მიზანია ბანკის დაკრედიტების პროცესის ორგანიზაცია, წარმართვა და კონტროლი, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობის, კოლეგიალობის, უფლებამოსილებების დელეგირების პრინციპებს. კომიტეტი დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს რისკების მინიმიზაციის პრინციპითა და ბანკის მოგების მიღების მიზნით.

სესხის ტიპების მიხედვით ბანკში მოქმედებს 2 და 4 დონის საკრედიტო კომიტეტები, რომელსაც ცალ-ცალკე განსაზღვრული აქვს მაქსიმალური ლიმიტები. 4 დონის კომიტეტი მოქმედებს მხოლოდ ავტოსესხის შემთხვევაში, ხოლო ყველა დანარჩენი ტიპის სესხზე განსაზღვრულია 2 დონის კომიტეტი. ყველა სესხი მტკიცდება შესაბამისი დონის საკრედიტო კომიტეტზე, თანხის შესაბამისად, მას შემდეგ რაც მოხდება სასესხო განაცხადების ანალიზი.

საკრედიტო კომიტეტზე საკითხის გამომტანი/ინიციატორი და განსახილველი საქმის წარმდგენი არის საკრედიტო ოფიცერი ან გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ხმის უფლების გარეშე.

პირველი დონის კომიტეტზე შესაძლებელია განხილულ იქნას ნებიმისერი ლიმიტის მქონე საკითხი (მინიმალური ზღვრის გარეშე), თუ დამტკიცების ლიმიტი აღემატება 500,000 ლარს, საკითხი დამატებით საჭიროებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებას.

საკრედიტო კომიტეტის ჩატარებისთვის აუცილებელი პირობაა კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდეს მინიმუ ორი ხმის უფლების მქონე კომიტეტის წევრი.

საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობა:

ავტო სესხებისთვის:

კომიტეტის დონე	დამტკიცების ლიმიტები	კომიტეტის წევრები
IV დონე	2,000 - 10,000 ₾	1. მოძრავი ქონების ექსპერტ-შემფასებელი 2. საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი
III დონე	> 10,000 - 30,000 ₾	1. რისკების დირექტორის მოადგილე; 2. საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი
II დონე	> 30,000 - 70,000 ₾	1. რისკების დირექტორი (ვეტოს უფლებით); 2. რისკების დირექტორის მოადგილე; 3. საკრედიტო რისკების მართვის

		განყოფილების უფროსი სპეციალისტი
I დონე	> 70,000 ₾	1.რისკების დირექტორი (ვეტოს უფლებით, კომიტეტის თავმჯდომარე); 2. იურიდიული დირექტორი; 3. კომერციული მიმართულების ხელმძღვანელი

სხვა სესხებისთვის:

კომიტეტის დონე	დამტკიცების ლიმიტები	კომიტეტის წევრები
II დონე	0 - 5,000 ₾	1. საკრედიტო ოფიცერი 2. საცალო სესხების განყოფილების უფროსი; ან ბიზნეს სესხების განყოფილების მიკრო სესხების ჯგუფის უფროსი; ან საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი; ან SME საკრედიტო რისკების მენეჯერი
	>5,000 - <= 50,000 ₾	1. საცალო სესხების განყოფილების უფროსი; ან ბიზნეს სესხების განყოფილების მიკრო სესხების ჯგუფის უფროსი. 2. საკრედიტო რისკების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი; ან SME საკრედიტო რისკების მენეჯერი
I დონე	>50,000 ₾	1.რისკების დირექტორი (ვეტოს უფლებით, კომიტეტის თავმჯდომარე); 2. იურიდიული დირექტორი; 3. კომერციული მიმართულების ხელმძღვანელი

საკრედიტო კომიტეტის ფუნქციები და უფლებამოსილებები:

- უფლებამოსილების ფარგლებში, განიხილავს და ამტკიცებს კლიენტების დაფინანსების ლიმიტებს და პირობებს;
- განიხილავს და ამტკიცებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგის ანგარიშებს;
- იღებს გადაწყვეტილებას საცალო, მცირე და საშუალო დაკრედიტების დეპარტამენტის მიერ გაცემული სესხების პროლონგაცია/რესტრუქტურიზაციის შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებებს კრედიტების უზრუნველყოფის სტრუქტურიდან, გირაოს ნაწილობრივი ამოღების და/ან უზრუნველყოფის ჩანაცვლების (შეცვლის) შესახებ;
- იღებს გადაწყვეტილებას, მისი რეგლამენტის ფარგლებში გაცემული კრედიტებზე სასარჩელო წარმოების დაწყებაზე (სასამართლოში გადაცემა);
- იღებს გადაწყვეტილებას კლიენტისთვის ვადაგადაცილებულ სესხ(ებ)ზე ჯარიმის პატიების შესახებ;

- იღებს გადაწყვეტილებას სადაზღვევო კომპანიის მიერ კლიენტისთვის ჩარიცხული სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზარალის თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით (აღნიშნული თანხა მოხმარდეს უზრუნველყოფის საშუალების შეკეთებას, თუ დაიფაროს სესხის თანხა) თუ ეს თანხა აღემატება სესხის მიმდინარე ძირითადი თანხის 50(ორმოცდაათი) პროცენტს;
- ამზადებს წინადადებებს ბანკში მიმდინარე საკრედიტო პროცესების ოპტიმიზაციის შესახებ.

მეთოდოლოგიური კომიტეტი

კომიტეტის მიზანია დირექტორთა საბჭოსთან შეთანხმებული ხედვებიდან და გეგმებიდან გამომდინარე ნორმატიული ბაზის შექმნისა და განახლების მეშვეობით ბანკში მიმდინარე ბიზნეს-პროცესების ორგანიზება, სტრუქტურირება, ოპტიმიზაცია.

მეთოდოლოგიური კომიტეტის შემადგენლობა:

- ოპერაციების მართვის დირექტორი - კომიტეტის თავმჯდომარე;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების დირექტორი - კომიტეტის წევრი/თანათავმჯდომარე;
- ქსელის მართვის განყოფილების უფროსი - კომიტეტის წევრი;
- შესაბამისობის სამსახურის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - კომიტეტის წევრი;
- საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი - კომიტეტის წევრი;
- საკრედიტო ადმინისტრირების განყოფილების უფროსი - კომიტეტის წევრი;
- საოპერაციო რისკების მართვის განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომიტეტის წევრი;
- საკრედიტო ადმინისტრირების განყოფილების უფროსი;
- პროცესებისა და პროცედურების დეპარტამენტის უფროსი - კომიტეტის წევრი.

7. რისკების მართვა

რისკების მართვა საბანკო ბიზნესისთვის ფუნდამენტურია და ბანკის ოპერირებისთვის აუცილებელი ელემენტების ფორმირებას ახდენს. ბანკის რისკების მართვის პოლიტიკები მიზნად ისახავს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მართვას, რისკების სათანადო ზღვრის დაწესებას და კონტროლს, რისკის დონის მუდმივ კონტროლს და ლიმიტების დაცვას.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ მოკლე ვადიან პერიოდში ბანკი აპირებს გააგრძელოს ზომიერი ზრდა. ზრდასთან ერთად პარალელურად გაძლიერდა რისკების მართვის ფუნქცია. 2023 წელს რისკების ორგანიზაციულ სტრუქტურაში შეიქმნა ახალი განყოფილებები, კერძოდ კონტროლინგის, უძრავ-მოძრავი ქონების შეფასებისა და პრობლემური სესხების მართვის განყოფილებები. ასევე, ჩამოყალიბდა ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური. მომავალშიც იგეგმება რისკების მართვის ფუნქციის გაძლიერება, რაც გამოიხატება არსებული რისკების მართვის სტრატეგიის სიღრმისეულ გადახედვაში, რისკების მართვის საჭირო სისტემების დანერგვაში და რისკების მართვის ფუნქციების საჭირო კადრებით დაკომპლექტებაში. საშუალო და გრძელვადიან პერიოდში რისკების მართვის მიმართულებით განხორციელებული

ცვლილებები ბანკს საშუალებას მისცემს უფრო მეტად იყოს ზრდაზე ორიენტირებული და ამასთან უზრუნველყოს რისკების დროული და ეფექტური მართვა.

რისკების მართვის ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს რისკების მართვის გამჭირვალე პროცესის მიღწევა და შედეგად ნდობის მოპოვება დაინტერესებული მხარეებისგან, ბანკის შენარჩუნებადი ზრდის ტემპი მაღალი გამძლეობის და ადეკვატური რისკების მართვის პირობებში, ბანკის სტრატეგიის განხორციელების საშუალება, რისკების მართვის წარმოჩენა როგორც კონკრეტული უპირატესობა ბანკისთვის.

სტრუქტურულად, ყოველდღიური რისკების მართვის ფუნქცია დამოუკიდებელია და ექვემდებარება რისკების მართვის დირექტორს, რომელიც თავის მხრივ ანგარიშვალდებულია გენერალურ დირექტორთან.

ბანკის მიერ იდენტიფიცირებულია და იმართება შემდეგი რისკები:

საკრედიტო რისკი - ბანკისთვის ყველაზე მატერიალური რისკის ტიპია და წარმოიქმნება იმ ალბათობიდან, რომ ფინანსურ ინსტრუმენტში მონაწილე კონტრაგენტი ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და ამის შედეგად ბანკმა შესაძლოა მიიღოს ზარალი. ბანკის საკრედიტო რისკის კონტროლს ახორციელებს საკრედიტო რისკების მართვის დეპარტამენტი და გადაწყვეტილებები მიიღება სხვადასხვა დონის საკრედიტო კომიტეტზე, რომლის შემადგენლობაშიც ყველა დონეზე შედიან რისკების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები, ხოლო უმაღლესი დონის საკრედიტო კომიტეტის შემადგენლობაში ასევე შედის ბანკის დირექტორატის რამდენიმე წევრი. შიდა პოლიტიკით და ეროვნული ბანკის რისკების პოლიტიკის შესაბამისად გარვეული საკრედიტო გადაწყვეტილებები მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის მნიშვნელოვანია სესხის უზრუნველყოფა, სათანადო წესით დარეგისტრირებული და შეფასებული ეროვნული ბანკის მოთხოვნების და საერთაშორისო სტანდარტების დაცვით. მოძრავი ქონების შეფასება ხორციელდება ბანკის შიდა შემფასებლის მიერ, რომელიც ლიცენზირებულია შესაბამისი ინსტიტუტისგან და ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვს. უძრავი ქონების შეფასება ხორციელდება გარე შემფასებლების მიერ.

ჯამური უზრუნველყოფა სასესხო პორტფელზე 2023 წლის ბოლოსათვის შეადგენს 660 მილიონ ლარს რომლის სტრუქტურა შემდეგია: გირავნობის უზრუნველყოფის სახით მიღებული ძირითადი აქტივები: მესამე პირის თავდებობა - 88.94%, უძრავი ქონება - 9.29%, მოძრავი ქონება - 1.47%, სხვა - 0.30%.

ბანკს ამჟამად აქვს საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებული შიდა საკრედიტო მოდელი ერთი ტიპის საცალო საკრედიტო პროდუქტისთვის, თუმცა მისი გამოყენება ხდება შეზღუდული რაოდენობით. კრედიტ-ინფო საქართველოს საკრედიტო რეიტინგები გამოიყენება სესხის დამტკიცების პროცესში ყველა ტიპის მსესხებლისა და საკრედიტო პროდუქტის განხილვის დროს.

ბანკს ასევე შემოღებული აქვს ლიმიტები დაკავშირებულ მხარეებზე, მსესხებელთა ჯგუფებზე, ეკონომიკურ სექტორებსა და პროდუქტებზე. აღნიშნული ლიმიტები დაწესებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

ფინანსური აქტივები რომლებზეც ხდება მოსალოდნელი დანაკარგების დაანგარიშება:

- ეროვნულ ბანკში განთავსებული სახსრები;
- საკორესპონდენტო ბანკებში განთავსებული სახსრები;
- ფასიანი ქაღალდები;
- სასესხო პორტფელი;
- გაცემული ფინანსური გარანტიები;
- სხვა ფინანსური აქტივები.

ლიკვიდობის რისკი - წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის შეუსაბამობებიდან. ამ შეუსაბამობის გამო დეპოზიტის გამოტანისას და ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სხვა ფინანსური ვალდებულებების შესრულებისას შესაძლოა წარმოიშვას ფინანსური რესურსების უკმარისობის რისკი. ყოველდღიურ ლიკვიდობას მართავს ხაზინის სამსახური. ბანკი ასევე აწარმოებს ბაზელის მოკლევადიანი გადაფარვის (LCR) და გრძელვადიანი სტაბილური დაფინანსების (NSFR) კოეფიციენტების დაცვას.

ლიკვიდური სახსრების განთავსება ხდება მხოლოდ მაღალ ლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებში როგორიცაა ნაღდი ფულის განთავსებები ეროვნულ ბანკში და ადგილობრივ კომერციულ ბანკებში; ასევე ჭარბი ლიკვიდობისთვის ბანკი აქტიურად იყენებს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს სახაზინო ვალდებულებების სახით.

საბაზრო რისკები - წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების მერყეობისაგან საბაზრო ფასებზე ზეგავლენით. საბაზრო რისკი შედგება სავალუტო რისკისაგან, საპროცენტო განაკვეთების რისკისაგან და სხვა საფასო რისკებისაგან. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტის ღია პოზიციისაგან, რომელიც დაკავშირებულია საერთო და სპეციფიურ ცვლილებებთან ბაზარზე, საბაზრო ფასების და სავალუტო კურსის მერყეობის დონის ცვლილებებთან. ბანკს არ გააჩნია სავაჭრო პორტფელი და არ არის ჩართული სპეკულაციურ საქმიანობაში, შესაბამისად მის წინაშე დგას ძირითადად საპროცენტო და სავალუტო რისკები, რაც გამოწვეულია ტრადიციული საბანკო საქმიანობით.

საპროცენტო რისკი - ბანკის წინაშე დგას ტრადიციული საბანკოს საქმიანობით გამოწვეული საპროცენტო რისკი რაც დაკავშირებულია აქტივების და ვალდებულებების შესაძლო შეუთავსებლოებით გადაფასების ვადიანობების მიხედვით. საპროცენტო რისკების ყოველდღიურ მართვას ახორციელებს ხაზინის სამსახური, აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტის (ალკო) მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად.

სავალუტო რისკი - ბანკი აცნობიერებს სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული აქტივების და ვალდებულების გადაფასებით მიღებული დანაკარგის რისკს. სავალუტო რისკთან მიმართებაში ბანკის სტრატეგიაა რომ არ ჩაერთოს სპეკულაციურ საქმიანობაში ღია სავალუტო პოზიციის მეშვეობით. ყოველდღიურ სავალუტო რისკის პოზიციის მართვას

ახორციელებს ხაზინის სამსახური აქტივებისა და პასივების კომიტეტის (ალკო) მიერ დადგენილი ჩარჩოს შესაბამისად.

საოპერაციო რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი მიიღებს ფინანსურ ზარალს სისტემების ჩავარდნის/უმოქმედობისაგან, ადამიანური შეცდომებისაგან, თაღლითობისაგან ან სხვა გარე ზემოქმედებისაგან (მაგ. კიბერ შეტევების რისკი, ა.შ.). ასეთ მოვლენებს შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ბანკის რეპუტაციას, ნეგატიური გავლენა იქონიონ საზედამხედველო ან სამართლებრივი კუთხით, შეუძლიათ ფინანსური ზარალი მიაყენონ ბანკს. საოპერაციო რისკების კონტროლი ხორციელდება რისკების მართვის დეპარტამენტის მიერ.

შესაბამისობის რისკი - წარმოადგენს რისკს, რომ ბანკი არ/ვერ იმოქმედებს მოქმედი რეგულაციების, კანონების და ხელშეკრულებების შესაბამისად და ამის შედეგად შესაძლოა მიიღოს ფინანსური ზარალი.

ამ რისკების მართვისათვის ბანკში შემუშავებულია პოლიტიკები, პროცედურები და დანერგილია მმართველობითი სტრუქტურა მათი აღსრულებისათვის.

სამეთვალყურეო საბჭოს ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკების მართვის ჩარჩოზე, ძირითადი რისკების მეთვალყურეობაზე, რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცედურებზე. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია საერთო რისკების კულტურის დანერგვაზე მთელი ბანკის მასშტაბით, რისკის მიტიგაციის ღონისძიებების მონიტორინგსა და დანერგვაზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ბანკი მოქმედებს დადგენილი რისკების პარამეტრების ფარგლებში. დირექტორთა საბჭო წარუდგენს სამეთვალყურეო საბჭოს, ან მისი უფლებამოსილების ფარგლებში, ამტკიცებს რისკების მართვასთან დაკავშირებულ პოლიტიკებსა და პროცედურებს. დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია რისკების სტრატეგიის ბანკის საერთო სტრატეგიასთან შესაბამისობის მოყვანაზე. დირექტორთა საბჭო მეთვალყურეობას უწევს რისკებთან დაკავშირებულ საკითხებს სხვადასხვა რეპორტებისა და კომიტეტების მეშვეობით, სადაც ხდება მიღწეული მაჩვენებლების და რისკებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა.

სტრეს ტესტები

სტრეს ტესტები ანუ კრიზისის სიმულაცია წარმოადგენს შესაძლო გაუთვალისწინებელი ვითარების ბანკზე მთლიანად და შესაბამის საქმიანობაზე ცალ-ცალკე გავლენის შეფასების საშუალებას. იგი გამოიყენება რათა ბანკმა შეძლოს სათანადოდ შეაფასოს და მართოს რისკები, შეაფასოს მისი კაპიტალის ადეკვატურობა და საჭირეობის შემთხვევაში, შექმნას კაპიტალის ადეკვატურობის შესანარჩუნებლად საჭირო ბუფერი.

აქედან გამომდინარე, სტრეს ტესტირება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ბანკის მდგრადობის, მისი რისკ-პროფილის შესაფასებლად.

სტრესტესტის შედეგები მიიღება შემდეგ ჭრილებში:

- მოგება-ზარალი - კეთდება ერთწლიანი პროგნოზირება, სტრესის ეფექტის კორექტირებების გათვალისწინებით.

- საპროცენტო რისკი - ითვლება საპროცენტო განაკვეთების ზრდის შედეგად მოგება-ზარალი, საპროცენტო გეპის გადაფასებიდან 1-წლიან პერიოდზე.
- კაპიტალის ადეკვატურობა - საზედამხედველო კაპიტალის დათვლისას გაითვალისწინება როგორც საზედამხედველო კაპიტალის ელემენტების, ისე საზედამხედველო კაპიტალის კორექტირებების განახლება სტრესის პირობებში არსებული ბალანსით.

8. ანაზღაურება პოლიტიკა

ანაზღაურების სისტემა მოიცავს საქმიანობის შესაბამისად ანაზღაურების გარკვეულ ფორმებს, მათ შორის: ფიქსირებული ანაზღაურება, ცვალებადი ანაზღაურება (ბონუსი) და დამატებითი სარგებელი (მათ შორის და არა მხოლოდ: მოქმედი კანონმდებლობით/შიდა რეგულაციებით განსაზღვრული დანამატები, საპენსიო შენატანი, მივლინების, პროფესიული განვითარების, ჯანმრთელობის დაზღვევის, მატერიალური წახალისების სხვა ფორმები და სხვა სახის სარგებელი).

ანაზღაურების ფიქსირებული ნაწილია თანამდებობრივი სარგო/ხელფასი, ხოლო ცვლადი ნაწილი შეიძლება მოიცავდეს პერიოდულ (ყოველთვიურად, კვარტალურ) და ერთჯერად ბონუსებს, წლის შედეგების გათვალიწინებით წლიურ პრემიას, წამახალისებელ სამოტივაციო განაცემებს.

ფიქსირებული და ცვალებადი ნაწილის თანაფარდობა ანაზღაურების სტრუქტურაში მერყეობს შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით:

- ცვლადი ელემენტი უფრო მაღალია ისეთ პოზიციებზე, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართულები ბანკის კლიენტების მომსახურებასა და შემოსავლების გენერირებაში (Front Office): კრედიტ ოფიცრები, ფილიალის და ხაზინის თანამშრომლები.
- ფიქსირებული ანაზღაურება ე.წ „ბექ ოფისის“ („Back Office") თანამშრომლების ხელფასის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მათზე ასევე შეიძლება გაიცეს როგორც წამახალისებელი პერიოდული ანაზღაურება, ასევე წლის შედეგების შესაბამისად წლიური ბონუსი.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება შეესაბამება მათ ჩართულობას, დაკისრებულ პასუხისმგებლობებს, გაწეულ ძალისხმევასა და დახარჯულ დროის რესურსს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ანაზღაურება მოიცავს მხოლოდ ფიქსირებულ ანაზღაურებას, რომლის ოდენობა განისაზღვრება აქციონერთა საერთო კრების მიერ.

ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრთა და ბანკის თანამშრომელთა ფიქსირებული ანაზღაურება ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს, ამტკიცებს და აკონტროლებს ბანკის ანაზღაურების პოლიტიკის განხორციელებას. ასევე განიხილავს და ამტკიცებს ბანკის საშტატო განრიგს და იღებს გადაწყვეტილებას ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურებაზე.

ბანკის დირექტორთა საბჭოს ანაზღაურების სისტემა, შედგება ფიქსირებული ანაზღაურებისგან, რომელიც შეესაბამება მათ პროფესიულ გამოცდილებას და ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას, დაკისრებულ ვალდებულებებსა და სამუშაოს სპეციფიურობას.

ბანკის დირექტორთა საბჭო უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების პოლიტიკის განხორციელებას და განსაზღვრავს ბანკის თანამშრომლების (დირექტორების გარდა) წახალისების მოდელებს. დირექტორატი ამტკიცებს ბანკის სახელფასო სქემას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ანაზღაურების ფონდის ფარგლებში, ასევე განიხილავს და ამტკიცებს წინადადებებს ანაზღაურების სისტემისა და მოტივაციის სხვა მოდელების სრულყოფის შესახებ, განიხილავს შრომის ანაზღაურების სისტემის მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურების (როგორც შიდა, ისე გარე) შეფასებას და ანგარიშებს და სხვა.

მატერიალური რისკის ამღები პირები

ბანკის მატერიალური რისკის ამღები პირები განსაზღვრება მათი პროფესიული საქმიანობის ბანკის რისკის პროფილზე გავლენის მნიშვნელოვობის შეფასებით. ყველა ტიპის რისკი არის მნიშვნელოვანი, მათ შორის პრუდენციული, საოპერაციო, ან/და რეპუტაციული ხასიათის რისკები.

ბანკმა სებ-ის შესაბამისი წესების და რეკომენდაციების თანახმად შეიმუშავა მატერიალური რისკის ამღები პირების განსაზღვრის ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები, რის შედეგადაც მატერიალური რისკის ამღებ პირებად გამოვლინდნენ შემდეგი პირები:

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;
- დირექტორატის წევრები;
- თანამშრომლები, რომელთა საქმიანობას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ბანკის რისკის პროფილზე. მატერიალური რისკის ამღებ პირებად გამოვლინდა 17 პოზიცია (გარდა ზემოთ ჩამოთვლილი უმაღლესი მენეჯმენტის წევრებისა).

9. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები

სს სილქ ბანკის ზომისა და ოპერაციების მოცულობიდან გამომდინარე 2023 წლის განმავლობაში ბანკს არ განუხორციელებია მნიშვნელოვანი ცვლილებები გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით (ESG) საკითხებთან მიმართებაში. 2023 წლის ESG საკითხების ანგარიშგება გამოქვეყნებულია ბანკის ვებ გვერდზე www.silkbank.ge.